ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1811917

ნომერი: AR1294631

თარიღი : 17.03.2015

გაცემის თარიღი : 31.03.2015

გაცნობის თარიღი : 31.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

სამღებროს 6 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ტუსკაძე პ/ნ 53001013096
- თბილისი მ.იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხი N 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, სამღებროს ქ. #6-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას, განმეორებით გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი, საჭიროა წარმოადგინოთ ესკიზური პროექტი (ნახაზი) და ფოტომონტაჟი, სადაც მაგიდები და სკამები განთავსებული იქნება მხოლოდ ქუჩის მხრიდან, გზის დავიწროების გარეშე, არსებულ ტროტუარზე, სადაც ნაწილი უნდა იყოს განთავისუფლებული ფეხით მოსიარულეთათვის. ასევე, საჭიროა წარმოადგინოთ მესაკუთრის შესაბამისი თანხმობა ღია კაფის მოწყობის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას, საკითხი გადაიგზავნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განსახილველად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge